

# ბერძნება



№8, 2014



მარიამ ციცლაური

## უყვარებულების უყვარებულების

ჩემი ავტომანქანა  
დაჭრე და გაქანდა.  
ჰი-ჰი! — მიჭრის გზაზე  
ასჯერ სწორაფად სხვაზე.  
ეშინია ბარბის:  
— რა გიჟივით გარბის!  
გადაკვეთა ქუჩა,  
მოედანი, სკვერი,  
გადააგდო გზიდან  
ურიკა და ცხენი.  
მუხრუჭები არ აქვს,  
გარბის, ჰერი, ჰერი!  
ააღინა მტვერი  
კუთხესა და კუნტულს,  
ფრთა მოტეხა ლამის  
ბატის უვითელ ჭუჭულს.

შუქნიშანი ბრაზობის:

— რად არ იცავ წესრიგს?  
წითელს ვანთებ — სდექ, სდექ!  
შენ კი სულ არ გესმის.  
ქვეითი და მგზავრი,  
შეაძინა ეველა,  
ბარბი ისევ უვირის:

— ნელა, ნელა, ნელა!  
დავუძახოთ პატრულს,  
გააჩერებს ხელად!

დათუნია ბლავის:

გაი, თავი, თავი!

დაეჯახა ვაგონს.

— ბასუხი ვინ აგრის?

— ვინ და, მძღოლმა! — ბრაზობის

დამსხვრეული ავტო:

აღარ უეთამაშები

უწესრიგო პატრონს.



# მარტინ გავადირა!



პატარა სოლომონი დიდი ცნობისმოყვარე ვინმე გახლდათ. დღეცისმარე სულ  
იმის იმის ფიქრში იყო, როგორმე ეზოდან გასულიყო და ქვეყანა ენახა.

ერთხელაც ჭიშკარი დია დაუხვდა. დედა და და-მმებიც მოშორებით ტრიალებდნენ.



-მა დრო იხელთა, გარეთ გაბაჯბაჯდა და ჭალისგენ მიმავალ გზას გაუყვა. გაზაფხულის საამური დიღა იყო. ბუნება ყვაოდა. სოლომონი მშვენიერ გუნებაზე  
ჩანდა; ხალისიანად მიაბიჯებდა და თან მიიმდეროდა: – ვიხ-ვიხ-ვიხ!

ფერდობი რომ ჩაათავა, იქვე, გზის პირას, ხასხასა მოლი დაინახა. ბევრი არ  
უფიქრია, მივიდა, ცვრიან ბალახს წიწკნა დაუწყო.



სწორედ ამ დროს წითელბიბილოიანმა -მა ჩამოიარა. მოლთან შეჩერდა,  
ფრთები გაშალა და – ყიყლიყო! – ომახიანად შემოსძახა.



– ყიყლიყო კი არა, ვიხ-ვიხ! – შეუსწორა -მა.  
– ყიყლიყო! – გაიმეორა -მა ისე, რომ მისთვის ყურადღება არ მიუქცევია  
და გზა განაგრძო.



-მა შემცბარმა გააყოლა თვალი და ისევ ბალახის წიწკნა განაგრძო.



გავიდა ცოტა ხანი და ფერდობზე ჭრელი გამოჩნდა. მოდიოდა დინჯად,  
ცურს მოაქნევდა, თან ზმუოდა:



– მუუ! მუუ!  
– მუუ კი არა, ვიხ-ვიხ! – აყვიტყვიტდა , მაგრაძ -ამ ყურიც არ ათხოვა  
– მუუ-მუუ-ს ძახილით წავიდა.



ძროხას მოჰყვა, ვეება, ბანჯგვლიანი. გაბრაზებული ჩანდა, დაიყეფა: – ჰავ,  
ჰავ! – ჰავ-ჰავ! – გამოაჯავრა -მა – რითი ვერ გაიგეო, ჰავ-ჰავ კი არა, ვიხ-ვიხ!



-მა გაკვირვებულმა შემოხედა და, ისეთი ყეფა აუტეხა,  -ს შიშისგან ლამის გული გაუსკდა.



 მერე მობაკუნდა: – მეე! მეე!  -მ ჩამოირბინა: – მიაუ! მიაუ! ხეზე გააბა: – ოფ-ოფ! ოფ-ოფ! სადღაც  აღრუტუნდნენ:

– ღრუტ-ღრუტ, ღრუტ-ღრუტ!



 სულ გადაირია. აღშფოთებული მთელი ხმით გაიძახოდა:

– ვიხ-ვიხ! ვიხ-ვიხ!



სწორედ ამ დროს დედა  -ც მოვიდა.



– ამ სიშორეს რამ წამოგიყვანა, შვილო?! ძალიან შემაშინე, – უსაყველურა  -ს. მან კი შესჩივლა:

– დედი, მე ვასწავლი, რა უნდა თქვან, მაგრამ უურს არავინ მიგდებს, ყველა თავისას გაიძახის: ზოგი კიკინებს, ზოგი ზმუს, ზოგიც კნავის! რა ვქნა, ადარ ვიცი!



– არაფერი, ჩემო კარგო, –  -ს გაეღიმა, – ჯერ პატარა ხარ, გაიზრდები და თვითონ მიხვდები; ამქვეყნად ყველას თავისი ენა და თავისი ხმა აქვს. ამ ხმაზე მდერის და ამით არის ლამაზი. აბა, ყური დაუგდე! გესმის, რამდენნაირი ბეჭრაა?! ეს სამყაროს ხმებია, ბუნების მშვენიერი სიმდერა!



სოლომონმა სმენა დაძაბა: იქვე, ბალახებში ბზუოდნენ, სადღაც ტბორში



გალობდა...



წიგწივებდნენ, ყვავილებზე

ყიყინებდნენ, მაღლა ცაში კი



 ერთხანს გაუნძრევლად იდგა და უსმენდა, მერე ღრმად ამოისუნოქა და აღფრთოვანებულმა წამოიძახა:

– მართლაც მშვენიერია!

და როცა შინ ბრუნდებოდნენ, მან იცოდა, რომ დღეს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი შეიტყო და ჩაფიქრებული  -ს დინჯი ნაბიჯით მიჰყვებოდა.



# თეინი ულა

## უკუსალი გული

გიორგი  
მატრეველი

### ლადორი გული

მელაკუდა ასწავლის  
თავის ლეკვებს ანგარიშს  
– ამოცანა იქნება,  
პატარებო, ამგვარი,  
საქათმეში დამიხვდა  
ათი თეთრი ვარია  
ექვსი წამოვიყვანე,  
სხვა არ მომიპაროა!  
დაუკვირდით, რაც დარჩა  
სულ რამდენი ცალია?  
თქვა პატარა მელიკომ:  
დავიბენი ძალიან  
და რომ ვერ გამოვიცნო  
განა ჩემი ბრალია?  
ორის მეტი სოროში  
რომ არ მოგვიყვანია?  
ამოცანა, ბავშვებო  
არც თუ ისე ძნელია,  
დაეხმარეთ როგორმე  
პანაზინა მელიას,  
საქათმეში რამდენი  
ვარიკელა დატოვა  
და რამდენი შესასალა  
მელაკუდა ბატონმა?




### კაბი ლა ვამდები

რომ დაკრიფა, სწორედ მაშინ  
ბებომ მისცა ბავშვებს ვაშლი:  
სამჯერ ოთხი – მამუკას!  
სამჯერ სამი – სონიას!  
ორჯერ ორი – თორნიკეს!  
ექვსჯერ ორი – ექვსია!  
ორჯერ ექვსი – ილიას!  
მითხარ, ვაშლი ბებიას  
სულ რამდენი ჰქონია?!

\*\*\*  
მამუკას სოკოთა რიცხვი  
სამჯერ თექვსმეტი იქნება,  
ცელქმა გიორგიმ კი შესძლო  
თორმეტით მეტის მიგნება,  
თინკოს ექვსჯერ შვიდი აქვს  
და სხვაზე მეტი ჰქონია,  
აბა, მითხარით სამივეს  
რამდენი სოკო ჰქონია!

### ციფრები ლა კაბები

ციფვუნიამ ბინაზე  
გააკეთა ამბარი,  
შიგ ჩაყარა სამოცი  
გაკროლილი კაკალი,  
დღეში ორ ცალს იღებდა  
და ჰყოფნიდა საკვებად  
ათი ცალი მოჰკარეს  
ქურდბაცაცა თაგვებმა...  
დაფიქრდი და მითხარი,  
ვინ იქნება მართალი,  
სულ რამდენ დღეს ეყოფა  
ციფვუნიას კაკალი?



# კონკი

ერთ დღეს სამზევეთის ტყისპირა სოფელში ცამდე აწვდილი ბლის ხესთან შექუჩებულმა ბეღურებმა ჩოჩქოლი და გაწევგამოწევა ატეხეს:

- გეყოფა, შენ მეტი ბალი გერგო!
- არა, მე კი არა, შენ!

იმ რია-რიასა და ალიაქოთში სიმართლეს ვინ გასჭეოოდა, კაციშვილი არ იყო გამრჩევი, მაგრამ, მადა ჭამაში მოდისო, და მსუნაგმა ბეღურამ თავადვე გამოაშკარავა თავი – მწიფე ბლებით დახუნდლულ ტოტს ნისკარტი ჩაავლო და პირდაპირ ტყისკენ აიღო გეზი. მაშინვე წიოკით დაედევნენ მოძები.

- არ დაგისხლტეთ!
- არ გაუშვათ!
- თაფლივით ბლები არაფრით დაანებოთ! – ერთიმეორებზე ყურისწამდებად გაჭყიოდნენ ბეღურები.

ასე სოფლიდან ტყეში და ტყიდან სოფელში ურჩ მომმეს იმდენ ხანს სდიეს, თავადაც ვერ შეამჩნიეს, მწიფე-მწიფე ბლები სად, როდის ან როგორ შემოეფანტათ.

აბა, ცარიელი ტოტი ვის რად უნდოდა, ფრთები ჩაიქნიეს და, ვითომ აქ არაფერიო, ისევ ერთ დიდ გუნდად შეკრულნი სოფლები უშველებელი ბლის ხისკენ გაფრინდნენ.

გავიდა დრო და შუაგულ ტყეში ოდესდაც ბეღურების მიერ მიმოფანტული ბლის კურკიდან წავის სახლის მახლობლად თვალუწვდენელი ბლის ხე ამოიზარდა.

ტყის უჩვეულო ბინადარს ერთხანს ამრეზით უცქერდა წავი. რამდენს შეხედავდა, იმდენს ავიშვიშდებოდა: ვისაც არ ეზარება ყველამ მაინცდამაინც ჩემს ეზოში უნდა გაიდგას ფესვებიო.

კარგა ხანს გრძელდებოდა წავის გაუთავებელი წუწუნი. აი, ზუსტად მანამ, ვიდრე ცამდე აშოლტილმა ხემ ნაყოფი არ გამოისხა და, თითქოს წავის გულის მოსაგებად, ბლის რამდენიმე კუნწულა დროზე ადრე არ შეაწიოლა.



ლალი ჯაფარაშვილი

ნუხელ მესიზმრა  
კარგი სიზმარი,

თბილი

ვითომ კეთილი  
ჯინი ვიყავი.

პატარა ვიყავ,  
სულ ერთი ციდა,  
რომ ამოვცოცდი  
ვიწრო ბოთლიდან.

როგორც კი ოაფლივით  
ტკბილ ბალს გემო გაუსინ-  
ჯა, როგორც კი პირში შაქა-  
რივით ჩაიდნო, წავმა მაშინვე  
თავს შემოსძახა:

— წავო, ამ საოცარ ხეს  
წამით არ უნდა მოშორდე,  
ოორემ, გემო თუ გაუგეს,  
მორჩა, იცოდე, ერთ ბალსაც  
არავინ შეგარჩენს!

იმის შიშით, ბლის ჭამა-  
ში არავინ შემეცილოსო, წავ-  
მა პირველ რიგში იქვე, მის  
მეზობლად მცხოვრები მაჩვი  
აითვალწუნა, რომელიც, მარ-  
თალია, ვერ ბედავდა, წავისთ-  
ვის ეთხოვა, გამასინჯეო, თუმ-

ცა უცხო ნაყოფით უხვად დახუნძლულ ხეს დროდადრო საუჭვო ინტერესით გახედავდა  
ხოლმე.

წავმა იფიქრა, იფიქრა და, რადგან ხეზე ნაყოფი ერთნაირად არ მწიფდა, აი, რა  
მოიფიქრა: მისდგა ჯერ უმწიფარ, მწვანე ბლებს, კუნწულები ბლისვე ფოთლებით ამო-  
ფენილ, მოწნულ კალათაში ჩააწყო და იმ იმედით, თან მაჩვს მოვიმადლიერებ, თანაც  
ბლის ჭამაზე თაოს საერთოდ ავადებინებო, თავისი საზრიანობით კმაყოფილმა და  
მხრებში ამაყად გაშლილმა პირდაპირ მეზობლის სოროს მიაშურა.

მართალია, მაჩვს ბალი არასდროს გაესინჯა, მაგრამ მკვახეს და მწიფეს მშვენივ-  
რად არჩევდა, ამიტომაც წავს ისე, ზრდილობისთვის გამოართვა კალათა, უმწიფარ  
ბლებს არც გაკარებია; წავი მეზობელს მალევე შეეხმიანა.

— აბა, მაჩვო რას იტყვი, როგორ მოგეწონა ჩემი ბალიო.

მაჩვმა იფიქრა: ვინ იცის, რამდენი უშრომია, ჩემ გამო რამდენი უწვალია და, მკვა-  
ხეს მწიფები თუ ვერ არჩევს, რა მაგისი ბრალიაო, ამიტომაც მირომეული ნობათისთ-  
ვის მაინც გულწრფელი მადლობა გადაუხადა.

გადაირია წავი, თაოები თავში შემოირტყა, რახან მაჩვს ერთიც არ დაუჩივლია,  
ეტყობა, ეს ბალი არც მკვახეა ურიგოო, მაშინვე დაჟკრა ფეხი  
და სულ რამდენიმე წამში ბლის ხეს კენწეროზე  
მოექცა.



მერე გავმალლდი,  
გგონიათ — ნელა?  
ერთ წუთში გავხდი  
კარალისხელა!..



და აგისრულეთ,  
ვინც რა ინატრეთ!

სულ ყველა სახლში  
ჩავრთე სინათლე,





ბექას ვაჩუქე  
ლამაზი ბურთი,



ნინოს – ნაყინით  
პირსავსე ყუთი.

მწიფე, მკვახე, ტკბილი, მჟავე, თუნდაც მწა-  
რე, თუნდაც მწკლარტე, მოკლედ, კურკა და ყუნწი, რაც ჰქონდა,  
წაგმა პირში ერთიანად გაიქანა. ამის მერე რა გასაკვირია და მალე,  
სულ, სულ მალე ხარბ წაგს ტკივილისგან სახე დაემანჭა,  
კიდევ კარგი, მაჩვმა იყოჩაღა, წამით არ შეყოვნებულა, როგორც კი წაგმა – ვაი,  
მიშველეთო – დაიძვნესა, იმწამსვე ექიმს მოუხმო.

ნეტავ გამეყო ბალი,  
თავზე ჯავრობდა წავი.  
გაუმაძღვობის გამო,  
შარში გავხვიე თავი, –

თაოში მწვანე, ბლანტი წამლით სავსე კოგზმომარჯვებული ექიმის დანახვისთანა-  
ვე ავიშვიშდა წავი...





ღურა

გია

ჭი

ლტი

რი

შეადგინე  
ე სიტყვა  
რომელიც  
„ჩე“-თი იწყება

ფი

ცე

ზი

რე

ჭაჭი

ლი



დიდი ხნის წინათ ჩვენმა საყვარელმა პოეტმა და მეგობარმა **გივი ჭიშიძემა** უურნალ „დილის“ რედაქციას ბავშვური გულმოდვინებით გადაწერილი და აკინძული თავისი მშვენიერი ლექსების კრებული უსახსოვრა.

წელს ამ დიდებულ საბავშვო პოეტს 80 წელი შეუსრულდებოდა. იუბილეს ალსანიშნავად გთავზობთ იმ ლამაზი კრებულიდან ამოკრებილ, მისივე ხელით დაწერილ ლექსებს, რომლებიც ჩვენმა მხატვარმა, თეა მიქაიამ გააფორმა.

## რათქვა ანომ ვანოზე და ვანომ ანოზე

ანომა თქვა ვანოზე,  
შეუძლია ვანოსო,  
ინაფრთხოს და ავდარში  
გზე ამოიყვანოსო...  
ვანოშა თქვა: – რასამშობს,  
ეგ სად შემიძლიათ?  
ან ეშის ნაცვლა სად მინდა,  
ანო ლვითონ გჟებო.



## გლარები

გლარები, გლარები, ჭარები,  
ეს სიჭრულე გაცვია?!

დამაკანონეს ბაზები  
მაგ ჩსუფუნა ნემსებმა...

ნეტევ, შენი დაღიკო  
ლოგოს გვაღლეოსება?

მხატვარი  
თეა მიქაია



ნათიას - ტორტი,

თოჯინა - ლელას,



ფერად-ფერადი  
წიგნები - ყველას...



## სულიელი ჭიდლუკვავი

ყოველდღი ეკითხებოდა  
ჭიდლუკვავს პატარა ჭიდლუკვავი:  
— დედი, თელი კვერცხში რომ ვიტაჭ,  
იქნაც ჭიდლუკვავი ვიყავი?  
— ჭიდლუკვავი იყავ, ჭიდლუკვავი! —  
კარგი, დამლალე საშინალად...  
— დედი, ჭიდლუკვავი ვიტნები,  
რომ გავიძლები მაშინაც? —  
დუდამ იყვისტი: „ეს ზრიყვი  
ჟოლოს მომიღებს კითხვების“  
და ასე უთხრა: — დამშვიდე,  
გაშინ ზუღაშული იჭრები!



## მინდვრის ჯადოფალი

გამოფარგვაფდა პეპელა,  
ყვავილებს ყდლვნა სალამი...  
იაშ საუზმე მიალოვა,  
ჟალახმა ასვა ცვერ-ნამი.  
წყალობ უმღელს ლეკ-ლეკია!  
— ლაკარგი ხალი, ლაკარგი!  
მზე გაფორხედა ცხლილება,  
მინდვრის დედოფლად ჩასვალა.



და გავუხარე  
დედ-მამას გული —  
და-ძმის საყიდლად  
რომ არ აქვთ ფული,  
გოგო და ბიჭი  
ვაჩუქე ერთად...

გავიღვიძე და  
ვარ დედისერთა!  
ბუზლუნებს დედა:  
— გაძვირდა დენი!  
ბაბუა გაზრდილ  
პენსიას ელის,



ბებო ცარიელ  
ტომარას ფერთხავს...  
დავბრუნდებოდე  
სიზმარში, ნეტა!

# ამიუსიცო, ჩიცო, თქმის საერთობლო უწევების ფონდი, ფონდი...



უურნალი „დილა“ წარმატებებს უსურვებს საფრანგეთში, ქალაქ პუატი-ეში, კულტურულ-საგანმანათლებლო ასოციაცია „ივერიასთან“ არსებულ ქართული ცეკვის ანსამბლ „ივერიას“, მის ყველა წევრს და ანსამბლის ხელმძღვანელს მანუჩარ ძიგუას.

გვსურს, მალე საქართველოშიც გიხილოთ, რათა თქვენი თანატოლები დატკბნენ თქვენი ხელოვნებით.

## ოთარ სურგულაძე

### ჩინუ დამაუზის სამართლი

სამშობლოს ქენ მთიჩქარის  
ბედის ურჩი შოშია,  
მხოლოდ ერთი ფიქრი ტანჯავს,  
სამშობლოს ნახვა „შია“.

წინ ზღვა გადაედობა,  
ეუბნება თოლია:  
- თავი ხომ არ გაგიწირავს,  
იქნებ, იქით თოვლია!  
- მე სამშობლოს სიევარული,  
ვიცი, მაინც გამათბობს,



ჩემი ქვეუნის მთებს და ზეცას  
არასოდეს არ დავთმობ!

ზღვას გასცდა და ჰშირი ნისლი  
ჯიქურ გადაედობა,  
- საით მიგიჩქარია,  
იქნებ, იქით ქარია!  
- მე სამშობლოს სიევარული  
ქარსაც დამამლევინებს,  
უსამშობლოდ სხვაგან ეოფნას  
ვერარა მაიმულებს!





# ხვარის საქახოთვეერო

თათუ ბარათაშვილი  
36-ე საჯაროს სკოლის VI კლასის მოსაწვდე



## პუზლუნა

იყო ერთი გოგონა, რომელსაც ბუზღუნას ეძახდნენ, რადგანარასდროს არაფერი მოსწონდა: – ეს არ მინდა, ის არ მინდა... – გაიძახოდა დღედადამ. მეგობარიც არ ჰყავდა, რადგან არავის მოსწონდა მისი საქციელი.

ერთ დღეს ბუზღუნა დედას გაუნაწყენდა და ტყეში წავიდა გასართობად. გზად ბაჭია შემოხვდა. გოგონამ შესთავაზა, ვითამაშოთო. კურდღელმა ყურიც არ ათხოვა, ბუზღუნებოან არ მსურს თამაშიო და ტყისეკენ გაიქცა. ბუზღუნა დიდად არ შეუწუხებია ამ ამბავს, მშვიდად გააგრძელა გზა. ცოტა ხანში მელია შემოეყარა. მასაც შესთავაზა გოგონამ, ვითამაშოთო, მაგრამ მელიამ პირში მიახალა: ბუზღუნასთან როგორ ვითამაშო? – და გაშორდა. მელიის სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შეაკრთო ბუზღუნა, მაგრამ იხტიობარი არ გაიტეხა და მარტომ დაიწყო თამაში. მალე მობეზრდა და იქვე, ხის კუნძხე ჩამოჯდა. დამდებოდა. ბუზღუნა შიშმა აიტანა, თან მოშივდა, დედაც მოენატრა და ატირდა. უცებ ხმა მოესმა:

– რატომ ტირი, ბუზღუნა?

გოგონამ მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. ხმა კვლავ მოესმა:

– რა გატირებს, ბუზღუნა?

მის წინ თეთრწვერა მოხუცი იდგა და ალერსით უყურებდა.

– შინ დაბრუნება გინდა? – ჰქოთხა მოხუცმა.

ბუზღუნამ თავი დაუქნია.

მოხუცმა ხის ფოთოლი მოწყვიტა, გოგონას გაუწოდა და უთხრა:

– თუ პირობას დადებ, რომ მველებურად ადარ მოიქცევი და ადარ იბუზღუნებ, როგორც კი ხელს შეახებ, ეს ფოთოლი ნატვრას შეგისრულებს.

გოგონამ თავი დაუქნია და ფოთოლი გამოართვა. მართლაც, შეახოთუარა ხელი,

მაშინვე სახლის კართან აღმოჩნდა.

მის წინ სახეგაბრწყინებული დედა

იდგა. ბუზღუნა დედას გადაეხვია

და სთხოვა:

– მაპატიე, დედა?!



# ცენტრული სიკათა

ცათია ჯანაშია

მელიამ ტურას შესხივლა,  
გადავიტყვე თათიო,  
შენს მეტი ვინ მეავს მშეელელი,  
მემდურის დრუნჩა დათვიო.

საჭმელიც ვერ მიშოვია,  
ვერ შევძელ სიარულიო,  
ტკივილმა სული გამამრო,  
შიმშილით მიმდის გულიო.

მხატვარი  
როენა შალეგია

ტურამ საბრალო მელიას,  
როგორც მეგობრის ვალია,  
მოურბენინა წამალი,  
ვაწმმად მიართვა ვრრია.

აფაღმუოფს უთხრა: მმობილო,  
არ გამიტეხო ხათრიო,  
და ჩემთან დარჩი, სანამ არ  
მოგიშუშდება თათიო!

ათი დღის თავზე მელიის  
თათს აღარ აჩნდა იარა.  
ტურის მადლმა და სიკეთემ  
ქვეყანა შემოიარა.



თურმე მელას რომ ეძინა,  
ტურა მთელი ხმით კიოდა:  
დავაზურეო მშიერი,  
გავათბე, როცა სციოდა,  
ჩემს სახლში შევიფარეო,  
სიმწრის ცრემლი რომ სდიოდა,  
გუექიმეო, ვუწამლე,  
თათი რომ ძლიერ სტკიოდა...

დათვს კოველ დამით ესმოდა  
ბუნაგში ტურის კივილი,  
თუ გსურთ, გაგიმხელთ, რა იურ  
ბაჯბაჯს გულისტკივილი:

რა ფასი აქვსო სიკეთეს,  
ჩალადაც არ ღირს მაღლიო,  
თუ ჩუმად არ დაგითესავს,  
თუ ვინმეს დაამადლიო.



## დარბისი



# გვერდის დღიური: კლინიკა დაცვირვაზით

მარიამ მატრევალი

ზრდასრულთა ერთი ნაწილისთვის დღიური ბავშვობის მხიარულ გატაცებასთან ასოცირდება – მეგობრობის დღიურთან, რომელიც ბევრ ჩვენს საიდუმლოსა და სამომავლო გეგმას სათუთად ინახავდა. სხვებს დღიური სასკოლო ცხოვრებას ახსენებს – იმ მნარე გამოცდილებას, როცა მშობლებთან ჩვენი „ცუდი საქციელის“ შესახებ ამბების მიმტანი სწორედ დღიური იყო. მიუხედავად იმისა, როგორ ემოციებს აღძრავს დღიური ჩვენში – დადებითს თუ უარყოფითს – ზრდასრულთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (მაგრამ არა მშობლებისთვის) ის წარსულია.

საქართველოში მშობლის მიერ დღიურის წარმოების ფაქტები არცთუ ხშირია, რაც, რა თქმა უნდა, სამწუხაროა. მშობლის დღიური გაცილებით უფრო მეტ ფუნქციას ითავსებს, ვიდრე, უბრალოდ, ოცნებების სკივრი ან სადამსჯელო სასკოლო ინვენტარი. მშობლის დღიური ბევრს ბავშვობიდან გადმოსულს და ბევრსაც სრულიად ახალს, ზრდასრულობასთან ერთად შეძენილ ფუნქციას ემსახურება. ეს არის წარსულის პასუხები იმაზე, როგორ გავუმკლავდეთ აღზრდის სირთულეებს მომავალში. ქვემოთ სწორედ დღიურის ძირითად ფუნქციებს და მისი წარმოების წესებს გაგაცნობთ.

**დღიური – თქვენი შვილის ჯანმრთელობის ისტორია.** ბავშვის ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანი მომენტია – დაწყებული ისეთი წარმატებითა და სიხარულით, როგორიც არის პირველი „აღუ“ და დამთავრებული ისეთი არსასურველი ფაქტებით, როგორიც პირველი სიცხე ან პირველი გაციებაა.

დღეს და ამჟამად ყველა მშობელი დაწყებულია, რომ არასდროს დაავინყდება ეს „აღუ“, ვერასდროს დაივინყებს შვილის ჯანმრთელობის პრობლემის გამო განცდილ ტკივილს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ,

ჩვენი მესიერება ყველა ფაქტსა თუ მოვლენას არ ინახავს. პირველი „აღუ“ ფერმკრთალდება „დედა“-ს გაგონებისას; პირველი გაციება გვავინყდება, რადგან ჩვენ პატარაზე შფოთვისთვის მუდმივად გვაქვს ახალი მიზეზები. ეს ნორმალურია.

დავინწყებული ინფორმაცია შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს ცხოვრების მომავალ ეტაპებზე, სწორედ ამიტომ უნდა ვაწარმოოთ დღიური – დღიური ამ მნიშვნელოვანი ფაქტების აღრიცხვაში გვეხმარება და გვაძლევს შესაძლებლობას, კიდევ ერთხელ განვიცადოთ მივინწყებული „აღუ“-ს სიხარული და, რა თქმა უნდა, დავიცვათ ჩვენი პატარას ჯანმრთელობა.

## გაითვალისწინეთ:

- არ არის აუცილებელი (ალბათ, შეუძლებელიც არის) ყველა დღე დეტალურად აღწეროთ.
- ჩაინიშნეთ მნიშვნელოვანი ფაქტები – ახალი მოვლენები თქვენი პატარას ცხოვრებიდან; მოვლენები, რომლებმაც სიხარულიან ტკივილი მოგანიჭათ.
- სამ წლამდე სამ თვეში ერთხელ, ხოლო სამი წლიდან ექვს თვეში ერთხელ დეტალურად აღწერეთ ბავშვის უნარ-ჩვევები (აღწერეთ, როგორ მეტყველებს, როგორ თამაშობს, როგორ ემსახურება საკუთარ თავს, როგორ ურთიერთობას ამყარებს ადამიანებთან, რითია დაინტერესებული, რა სირთულეებმა იჩინა თავი აღზრდის ამ ეტაპზე).

**დღიური – აღზრდის სირთულეებთან გამკლავების ინსტრუმენტი.** ხშირად ფიქრობენ, რომ რთულია გაიგო, რა უნდა ახალშობილს; ყველაფერი მარტივდება, როცა ბავშვი მეტყველებას იწყებს, რადგან ახლა ის თავად გეტყვით, რა სურს. ვფიქრობ, ეს მცდარი შეხედულებაა. რა თქმა უნდა, მეტყველება ამარტივებს მშობლისა და ბავშვის ურთიერთობას, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის მოიძებნება მოთხოვნილებები თუ სურვილები, რომლის გამოთქმასაც ის ვერ შეძლებს; ყოველთვის იქნება ქცევები, რომელთა მიზეზის მოძებნა მმობელს გაუჭირდება.

ახალშობილის მოთხოვნილებები დიდწილად ფიზიოლოგიით განისაზღვრება, ამიტომ მშობლისთვის შედარებით მარტივი მისახვედრია, რატომ ტირის პატარა (მაგ. შია, წყურია, ეძინება). ზრდასთან ერთად მოთხოვნილებების არსენალიც იზრდება და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების გვერდით სოციალური მოთხოვნილებები (მაგ. თანატოლებთან ურთიერთობის, ახალი სათამაშოს შეძენის და სხვ.) იმკვიდრებს თავს. შედეგად სულ უფრო გვიჭირს ბავშვის ქცევების მიზეზების გარკვევა. ხოლო, თუ მიზეზი არ ვიცით, პრობლემურ ქცევას ვერ შევცვლით. შესაბამისად, ვერ შევძლებთ შვილის „სწორად“ აღზრდას: მისი „ცუდი“ საქციელის სასურველი ქცევებით ჩანაცვლებას. ამ სირთულის დაძლევაშიც დღიური დაგეხმარება.

ასეთი ცხრილი თქვენი და ბავშვის მოქმედებების გააზრებისა და პრობლემური ქცევის მიზეზების დადგენის შესაძლებლობას მოგცემთ - ეს კი პირველი და აუცილებელი


ნაბიჯია არასასურველი ქცევის შესაცვლელად. თუ თქვენ ვერ შეძლებთ გარკვეული სირთულის გადალახვას, თქვენ მიერ ჩანიშნული ინფორმაცია სპეციალისტს დაეხმარება თქვენი პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტაში.

**დღიური – განუხორციელებელი იდეა.** შესაძლებელია დღეს თქვენთვის წარმოუდგენელია დღიურის წარმოება. თქვენი პოზიცია სრულიად გასაგებია – დრო ყველა მშობლისთვის ფუფუნებაა. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ყველა დეტალის აღნერა და ყოველდღიურად წერა არ არის საჭირო.

ვფიქრობ, ხშირად უზიარებთ მეგობრებს იმ ინფორმაციას, რომლის დღიურში აღნერასაც ჩვენ გირჩევთ. მიიღეთ დღიური, როგორც მეგობარი, რომელსაც არაფერი ავიწყდება და რომელიც ყოველთვის თქვენთან არის, ყოველთვის მზად არის შეგახსენოთ მნიშვნელოვანი დეტალები თქვენი შვილის ცხოვრებიდან და ამ გზით დაგეხმაროთ ახალი სირთულეების გადალახვაში.

თარიღი და დრო	პრობლემური ქცევის აღნერა (რა გააკეთა ბავშვმა)	ნინმსწრები მოვლენა (რა მოხდა უშუალოდ ბავშვის ამ ქცევის გამოვლენამდე)	თანამდევი რეაქცია (თქვენ როგორ უპასუხეთ ბავშვის ცუდ საქციელს)

საკმარისია რამდენიმე თვე მისდიოთ ზემოთ მითითებულ რეკომენდაციებს და დარწმუდებით, რომ დღიური თქვენ დროს დაზოგავს, მრავალ სირთულეს ეფექტურად გადაგალახვინებთ და ბევრ ბედნიერ მოგონებას გაჩუქებთ.






## ეპლენი და ჰიდროსაფუძვლები



# ტრიუმფი

ამ კროსვორდს მხოლოდ  
ის შეავსებს, ვინც  
უურნალის ყველა  
გვერდს ყურადღებით  
წაიკითხავს.

1. წითელი პარკუჭანა, რომელიც პირს  
დაგინვავს;
2. ბრაზილია, როდესაც წესრიგს არ  
იცავენ;
3. რა იტკინა ტურამ?
4. შინაური ცხოველი, რომელიც ზმუის;
5. მელიას მკურნალი;
6. რა ერქვა იხვს?
7. ვინ მიიჩეარის სამშობლოსკენ?
8. გოგონას მეტსახელი, რომელსაც  
არაფერი არ მოსწონს;
9. რა აჩუქეს ბექას?
10. მუცელგოდორა, რომელსაც  
ბაგუნი აუყენეს?
11. ცხოველი, რომელსაც  
ნემსებიანი ქურქი აცვია;
12. მაჩვს რომელი ხილი არ ჰქონდა  
გასინჯული?
13. მსუნაგი ცხოველი, რომელსაც ექიმის  
დახმარება დასჭირდა
14. როგორი იყო ჭილყვავი?



## ტრიუმფის კარიკატურა

მზია ჩხეტიანი

\*\*\*

ნამცეცა და ტანწვრილი  
გზაზე მიდის ყმანვილი,  
წელში გამოწევილი,  
ხალათშემოტკეცილი.  
ზურგზე ადევს ტვირთი,  
გზას შინისკენ მისდევს,  
იმხელაა ტვირთი,  
ალარც კი ჩანს ტვირთქვეშ.

\*\*\*


ეს წითელი პარკუჭანა  
ვინ დაკიდა კარს უკანა?!

პირიც დამწვა,  
ცხვირიც დამწვა,  
ნამომთხარა ლამის თვალი,  
მახველა და მაცემინა,  
ძლივს გადავრჩი მე საწყალი.

\*\*\*

დაპერეს მუცელგოდორასა,  
აუყენეს ბაგუნი,  
ირგვლივ ყველა დავლურს უვლის,  
შენ კი საით, თაგუნი?

# დილა



მარია  
დავითია



დავით  
მაღრაძე



მარია  
მაისაშვილი




გამოიცერეთ  
უურნალი „დილა“  
ამისთვის საჭიროა დარეკორ ან  
მიაკითხოთ პრესის გავრცელების  
სააგენტოებს:

elva.ge  
ტელ: 2 38 26 73;  
2 38 26 74;

საქ. პრესა+

ტელ: 251 85 18.  
უურნალი გამოდის თვეში ერ-  
თხელ: საცალო გასაყიდი ფასია 2  
ლარი, ექვსი თვით – 12 ლარი.



მთავარი რედაქტორი: დოდო ნიკოლაძე

ნახატი ყდაზე: კესონ ფრანგიშვილის

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა  
ფასი: 2 ლარი